# ცნობის ფურცელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 2570 შაბათი, 31 ივლისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2570

გაზეთის ღირს: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა. შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

30 ივლისს, აბასთუმანში გარდაიცვალა

ვერა ნიკოლოზის ასული ჯორჯიკიასა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე სპირიდონ ბესარიონის ძე ჯორჯიკია შვილებითურთ. (ნ. 1—1)

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ
რიგის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების
ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.
ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკა, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—151)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
**დ. ა. გედევანიშვილი.**—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
**ა. ნ. დიასამიძე.**—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.
**მ. ტ. მუღინი.**—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.
**ა. ი. ბალარჯიშვილი.**—ბავშვებისა. 9—10 ს.
**არ. მ. ხოზოლევსკი.**—ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკე. 1—3 საათამდე.
**ბ. ა. ბეიერი.**—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველდღე.
**ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.**—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 11—12 ს.
**დ. მ. მონინი.**—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.
**ნ. ტუღუშიდაშვილი.**—კბილისა, 9—11 საათამდე.
საღამოთი:
**გ. მ. ხოზოლევსკი.**—ქირურგია და ორთოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
სამკურნალოში ჰხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევანი.
სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
(წლ.) ტელეფონი № 274.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყორღანოვის ქ., № 16. საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 12—2 ს., საღამოთი 6—8 ს., სამშაბათობით მხოლოდ საღამოობით. კიროჩნის და დიდი მთავრის ქუჩ. კუთხე, სახლი სვანიშვილისა № 11 (კიროჩნი ქუჩიდან).

# რუსეთ-იაპონიის ომი

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

### 29 ივლისი

**ტამბოვი.** შორეულ აღმოსავლეთში მიმავალმა ბორისოგლებსკის, მცენსკის, კრომსკის და კირსანოვის პოლკებმა უარი სთქვეს ყოველნაირ საჩუქრების მიღებასა და ქალაქის წინადადებაზე მათთვის ნადიმის გამართვის შესახებ. ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა, ნადიმისათვის გადადებული 4 ათასი მანეთი ხსენებულ პოლკების სალდათების ოჯახთა შემწეობას მოახმაროს.

**ტოკიო.** („რეიტ. სააგ.“). ადმირალმა ტოგომ იერიში მიიტანა რუსის ესკადრაზე. გამწვავებული ბრძოლა დაღამებამდის გაგრძელდა, შემდეგ კი ნაღმიან გემთა ფლოტილიამ რამდენჯერმე მიიტანა იერიში. იაპონელთა გემები წავიდნენ და დასტოვეს სადარაჯო გემი, რომლიდანაც დაინახეს ნავთსადგურისკენ მიმავალი ჯავშნიანი გემები „რეტვიზანი“ და „პობედა“. ადმირალი ტოგო არაფერს არ იუწყება ბრძოლის შედეგის შესახებ.

### 30 ივლისი

**ტოკიო.** („ვოლფის სააგენტო“). ოფიციალური. ტალიენვანიდან სხვა-და-სხვა ცნობა მოვიდა. როგორც ამ ცნობებიდანა სჩანს, 28 ივლისს, დილით, პორტ-არტურის ესკადრა ნავთსადგურიდან გამოსულა. შემდეგ ზღვაში ბრძოლა მომხდარა, რომელმაც საღამომდე გასტანა თურმე. ღამე ჩვენ ნაღმიან გემების გამანადგურებლებს იერიში მიუტანიათ რუსის ესკადრაზე. 29 ივლისს, გათენებისას, „რეტვიზანი“ და აგრეთვე ერთი სხვა გემი „პობედას“ ტიპისა, მგონი, პორტ-არტურს დაბრუნდნენ.

**ჩიფუ.** („რეიტ. სააგ.“). იაპონელთა სამი კონტრ-ნაღმიანი გემი ნავთსადგურის შესავალში სდარაჯობს რუსის გემს „რეშიტელნი“-ს. რუსის ესკადრა, ადმირალის სკრიდლოვის ბრძანების თანახმად, პორტ-არტურიდან გამოვიდა.—ოფიციალური დეპეშა უარსა ჰყოფს იმ ამბავს, ვითომ „პობედა“ და „რეტვიზან“-ი დაშავებულიყვნენ და პორტ-არტურს დაბრუნებულიყვნენ. როგორც ოფიციალურ წყაროდან სჩანს, 28 ივლისს, საღამოთი, რუსის 16 გემი ჩიფუს მახლობლად უნახავთ. გემი-საავადმყოფო „მონგოლია“ შანჰაისკენ მიდიოდა. უკანასკნელ ბრძოლაში, ყუმბარების სროლის დროს, „რეტვიზან“-ს 17 ყუმბარა მოხვდა, მაგრამ გემი მხოლოდ მცირედ დაზიანდა. იაპონიის ესკადრა მთელ თავის ზარბაზნებს უშენს პორტ-არტურის დოკებს, სადაც ასამდე გემია და საიდანაც მხოლოდ ეხლახან გადაიტანეს თოფის წამლის საწყობი. იაპონელებს არა აქვთ საკმაო საალყო ზარბაზნები. ამბობენ, იაპონიის ერთი კრეისერი ბრძოლის დროს რგვალ კუნძულთან ჩაიძირაო. პორტ-არტურიდან გასვლის წინ რუსის გემებმა მრავლად წაიღეს სურსათი, მანქანები და მასალა, გემების შესაკეთებლად საჭირო. „რეშიტელნი“-ს უფროსი უარს არა ჰყოფს, რომ რუსის გემები ნავთსადგურიდან გამოვიდნენ ვლადივოსტოკის ესკადრასთან შესაერთებლად, მაგრამ ამის შესახებ სხვას არაფერს არ ამბობს. როგორც სხვა წყაროებიდანა სჩანს, დიდი გემები, „ბაიან“-ის გარდა, 28 ივლისს გამოსულან პორტ-არტურიდან. იაპონიის ესკადრასა და ამ გემებს შორის დიდ მანძილზე სროლა ატეხილა. როგორც ეტყობა, ვლადივოსტოკისა და პორტ-არტურის ესკადრები მოახერხებენ შეერთებას. დაგუშანი, რომელიც პორტ-არტურის მახლობლადაა, იაპონელებმა 26 ივლისს აიღეს, მაგრამ მეორე დღეს რუსებმა უკანვე დაიბრუნეს.

**ლიაოიანი.** („რეიტ. სააგ.“). ანშანჯანში მშვიდობიანობაა. რუსები ჰფიქრობენ, რომ იაპონელთა ჯარი ასეა განაწილებული: რვა დივიზია მდ. ლიაოხეს გაყოლებაზე მიიწევს წინ, ხუთი დივიზია აღმოსავლეთით, ანპინამდე, ემუქრება რუსების პოზიციებს, ორი დივიზიაც მდ. ტაიძიხეს ნაპირზე სდგას. სულ იაპონელთა ჯარის რიცხვი მანჯურიაში 250 ათას კაცს აღემატება, რომელთაც 600 ზარბაზანი აქვთ, მათ რიცხვში ბევრი სამთო ზარბაზანიც. იაპონელებმა სცადეს მდ. ტაიძიხეს მეორე ნაპირზე გადასვლა ბენსიხუსა და მიტცეს ახლო, მაგრამ ჯერ ვერ მოახერხეს: მდინარეში მხოლოდ ორი ფონია, რომელთაც რუსის ჯარი იცავს. იაპონელები საიმაძისთან გროვდებიან; ისინი ეცდებიან დალინის უღელტეხილზე გადასვლას, მუკდენის აღმოსავლეთით. იაპონელები ატუსაღებენ ყველა მოგზაურს, ვინც-კი საეჭვოდ მიაჩნიათ.—ბოლოს დროს რუსებს ერთობ ბევრ აფიცრებს უკლავენ და უჭრიან; ეს გარემოება გვიმტკიცებს რუსის აფიცრებისა და უფროსების მამაცობას. მე თვითონ ხშირად მინახავს თეთრ კიტელებში გამოწყობილი აფიცრები, რომელნიც იერიშით მიმავალ რაზმებს წინ მიუძღოდნენ. რუსის გენერალთა უმეტესობა ხიშტით ბრძოლას რჩეობს. ჩინელები ამბობენ, რომ როცა რუსებმა ხაიჩენი დასტოვეს, იაპონელებმა გვერდი აუქციეს ქალაქს და რუსების ჯარს დაედევნენო.—რუსეთ-ჩინეთის ბანკის განყოფილება ლიაოიანიდან ტელინს გადაიტანეს. ლიაოიანიდან სხვაგან გაგზავნეს აგრეთვე ქალები და ბავშვები.—იაპონელთა დივიზია, რომელიც ფორმოზას კუნძულზე იყო, ნიუჩუანში გადასხეს. ჩინელები იაპონელთ შეელიან. ხუნხუზთა მრავალი ბრბო მოსვენებას არ აძლევს რუსების სადარაჯო რაზმებს.

**მუკდენი.** (სააგენტოს საკუთ. კორრესპონდენტისაგან). ამბავი მივიღეთ, რომ ჩვენის არმიის მარცხენა ფრთაზე, სინმინტინისა და ციანჩანის შუა, მცირე შეტაკება მოხდა, რომელშიაც ჩვენმა ჯარმა გაიმარჯვა: იაპონელთა ორმა ბატალიონმა უკან დაიწია და ჩვენმა ჯარმა დაპინდუშანის უღელტეხილი დაიჭირა. ჩვენი ზარალი მცირეა. ხმა არის, რომ 27 ივლისს ანშანჯანთანაც დაიწყო ბრძოლა.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ომის ამბები.** გერმანულ გაზ. „ნაციონალ ცაიტუნგ“-ს ტოკიოდან ატყობინებენ: თუმცა იაპონელები განგებ ხმას ავრცელებენ, სამხედრო მოქმედების ასპარეზზე მარტო 13 დივიზია გავგზავნეთო, მაგრამ ნამდვილად კი 20 დივიზია გაგზავნეს. ამათგან ხუთი დივიზია პორტ-არტურთანაა და დღე და ღამ განუწყვეტლივ ზარბაზნებს ესვრის ქალაქს. ტოკიოში ელიან, რომ ლიაოიანსა და პორტ-არტურს იაპონელები ერთსა და იმავე დროს აიღებენო.

„კელნიშე ცაიტუნგი“-ც ჰმოწმობს, იაპონელებს მეტი ჯარი ჰყავთ მანჯურიაში, ვიდრე ევროპაში ჰგონიათო.

„ეკო დე პარი“-ს პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: სარწმუნოდ გავიგე, რომ 17, 18 და 19 ივლისს ბრძოლის დროს გენ. შტაკელბერგისა და გენ. ზასულიჩის რაზმებს თითონ გენ. კუროპატკინი უწევდა ხელმძღვანელობასაო. ამ ბრძოლის შემდეგ, რუსებმა ხაიჩენი მიატოვესო. ამავე დღეებში გრაფ. კელერის რაზმს გენ. ბილდერინგი უფროსობდაო. („რ. ს.“)

იტალიური სამხედრო გაზ. „იტალია მილიტერ“-ი იუწყება: 17, 18 და 19 ივლისს მომხდარ ბრძოლის დროს ხაიჩენთანა, სიმუჩენთანა, იანზელინთანა და იუშულინთან რუსებს 9-დან 10-მდე კაცი დააკლდათ მოკლული და დაჭრილი, მაგრამ სამხედრო სურსათი და იარაღი უფრო მეტიც დაეკარგათო. იაპონელებმა 40 ზარბაზანი, 200 რკინის გზის ვაგონი, 2 ბაირაღი და 20 ათასი თოფი ჩაიგდეს ხელშიო, ხაიჩენი რომ მიატოვეს, რუსებმა ბევრი იარაღი და სამხედრო ვეჯი დასწვესო. ამ ცნობის თაობაზე „რუსსკი ლისტოკ“-ი შენიშნავს: რუსეთის მტრობასა და ტყუილ ცნობების გავრცელებაში იტალიურმა გაზეთებმა ყველას გადააჭარბესო.

სიმუჩენთან ბრძოლის დროს, 18 ივლისს, იაპონელებმა 6 ზარბაზანი, ბევრი თოფი, ყუმბარა, დიდ-ძალი ფქვილი, ქერი და სამხედრო სურსათი ჩაიგდეს ხელში.

უშულინთანა და იანზელინთან ბრძოლის დროს, 19 ივლისს, იაპონელებმა 8 რუსის აფიცერი და 149 სალდათი დაატყვევეს და ორი ზარბაზანი, ბევრი თოფი, კარავი და ყუმბარა ჩაიგდეს ხელში. („მ. ვ.“).

„ჰავასის სააგენტოს“ კორესპონდენტი სწერს: მოდულინთან (ალბად, იანზელინთან) ბრძოლამ დაამტკიცა: 1 რუსის ციმბირის პოლკები რუსეთიდან მოსულ პოლკებს არ დაუვარდებიან; 2. რუსის აფიცრების თეთრი კიტელები მეტად კარგი ნიშანი ყოფილა იაპონელებისათვის; 3. რუსები თოფს ერთბაშად ისვრიან ყველანი, იაპონელები-კი ყველა თავის ნებაზე ისვრის, როგორც ჰკუა გაუჭრის; 4. რუსის სალდათები ჯგუფ-ჯგუფად იბრძვიან, იაპონელები-კი ბრძოლის დროს გაშლით დგანან, ერთმანერთზე შორის შორს; 5. იაპონელი სალდათები მეტ თაოსნობას იჩენენ ბრძოლის დროს, ვიდრე რუსის სალდათები. კორესპონდენტი უმატებს: ყველა ამის წყალობით, იაპონელების სამ ბატალიონიან პოლკს რუსის სამ პოლკთან შეუძლიან ბრძოლაო. („ნ. დ.“).

ხარბინში 20 ივლისს მე-17 კორპუსის უკანასკნელი რაზმი მოვიდა.

მანჯურიაში ზამთარი ადრე მოდის, ამიტომ გენ. კუროპატკინმა ეხლავე განკარგულება მოახდინა, ხარბინში რუსის ჯარისათვის ბინები დაამზადეთო. („რ. ლ.“).

ამას წინად დეპეშამ გვაცნობა, ევროპიელ და ამერიკელ გემებს იაპონიაში საქონელი აღარ მიაქვთ რუსის კრეისერების შიშითაო. ინგლისური გაზეთები კი იუწყებიან, ამ დღეებში იაპონიამ 20 გერმანელი და რამდენიმე ინგლისელი და ამერიკელი გემი იქირავა ევროპიდანა და ამერიკიდან საქონლის საზიდადაო. („რ. ს.“)

ამ დღეებში გაზეთებმა ხმა გაავრცელეს, იაპონელების ჯავშნიანი კრეისერი „კასუგა“ ზღვაში ჩაიძირაო. იტალიური გაზ. „სეკოლო“ ირწმუნება, ნამდვილად გავიგეთ, რომ „კასუგა“ არ ჩაძირულა კი, მხოლოდ სუბუქად დაზიანებულაო; ამ ჟამად სასებოს დოკშია და მალე შეაკეთებენო. („რ. ლ.“).

**ლიაოიანთან.** რუსის ჯარი ლიაოიანთან შეიკრება, იაპონელებიც გარშემო რგოლივით შემოერტყნენ. ყველაფრიდანა სჩანს, რომ მალე ლიაოიანთან მეტად დიდი ბრძოლა და სისხლის ღვრა უნდა მოხდეს, თუ, რასაკვირველია, გენ. კუროპატკინმა ეხლაც უკან დახევა არ არჩია. სამხედრო მიმომხილველები ეხლა უფრო ბეჯითად ადევნებენ თვალყურს სამხედრო მოქმედებას და ცდილობენ, წინადვე გამოიცნონ, როგორ წავა ლიაოიანთან საქმე და ვინ როგორ მოიქცევა.

„რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმომხილველი ბ. ს. კ. სწერს: 18 და 19 ივლისს, ერთსა და იმავე დროს, 80 ვერსტის სიგრძეზე გამწვავებული ბრძოლა მოხდა იუშულინთანა, იანზელინთანა, სიმუჩენთანა და ხაიჩენთან. ამის შემდეგ ლიაოიანს ახლო უცებ სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ, ეტყობა, ეს სიჩუმე დიდხანს არ გასტანს. იაპონელების სამივე არმია ერთმანეთს დაუახლოვდა და დიდ გაშლილ რგოლივით ლიაოიანს გარშემო დადგა 80—90 ვერსტის სიგრძეზე, ლიაოიანიდან 25—40 ვერსტის მანძილზე. ლიაოიანის აღმოსავლეთით, მდ. ლანხეს პირას ტიანშუიჩუანამდე და მერე იანზელინის უღელტეხილის გზაზე ხოლანგოუსთანა და დუნსიაპუსთან მდ. სიდახეზე—(მდინარე ტანხეს ტოტია) გენ. კუროკის არმია დგას 30 ვერსტის სიგრძეზე. გენ. კუროკის უმთავრესი ჯარი, ეტყობა, მარცხენა ფრთაზე

ჰყავს, ხოლანგოუსთან და იანზელინთან; ამ ფრთის მოწინავე რაზმები სულ 4-5 ვერსტის მანძილზე დგანან ლაძიშანიდან, სადაც რუსის აღმოსავლეთის რაზმი დგას. მაგრამ კუროკის მარჯვენა ფრთაზე, ანპინისაკენაც დიდი ჯარი ჰყავს; ამ ფრთის მოწინავე რაზმები მდინარე ლანხეს პირას, მთის სერზე დგანან, უმთავრესი ჯარი-კი გუცაიცისთანა და უშულინთან. გენ. კუროკის 22 ივლისამდე უკან სიხეიანთანა და ფანძიაპუძისთანაც (საიმაძი-ლიაოიანის გზაზე) დიდი ჯარი ჰყავდა. ეს რაზმები წინად დაოდიანშანთანა და სიაოსირთან (მუკდენის გზაზე) იდგნენ; ეხლა, ეტყობა, ეს რაზმებიც ლიაოიანის გზაზე გადაჰყავს უმთავრეს ჯართან. ასე რომ მუკდენისაკენ გალაშქრება გენ. კუროკიმ ჯერ-ჯერობით გადასდო: როცა გაიგეს, რომ გენ. კუროპატკინი ლიაოიანს ახლო დიდ ბრძოლას აპირობსო, იაპონელებმა მუკდენისაკენ გალაშქრებაზე ხელი აიღეს და ცდილობენ, რუსის ჯარს ლიაოიანთან შემოავლონ წრე. გენ. კუროპატკინის დეპეშაში ეწერა, იაპონელებს ციანჩანში პატარა რაზმი უდგათო. აქედან სჩანს, რომ მდინარე ტაიძიხეს მარჯვენა ნაპირიდან იაპონელებს ჯარი წაუყვანიათ და სინძინტინისაკენ გალაშქრებას აღარ აპირობენ. მდინარე ტაიძიხეს სათავეში, მარცხენა ნაპირას იაპონელებს მხოლოდ სადარაჯო რაზმები დაუტოვებიათ, დანარჩენი ჯარი-კი, ერთი ბრიგადა (ორი პოლკი) მაინც, დასავლეთისაკენ წაუყვანიათ სიხეიანის მხარეს. 22 ივლისს იაპონელებმა ლიაოიანს ახლო მდინარე ტაიძიხეში გასვლა სცადეს, ალბად, რუსის ჯარის დასაზვერად. ბენსიხუსთან (ლიაოიანის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით) იაპონელების ნახევარ როტა ტაიძიხეს გაღმა გავიდა მუკდენის მხარეს, მაგრამ რამწამს რუსის სადარაჯო რაზმებთან შეტაკება მოუვიდა, მაშინვე უკან გაბრუნდა. მდინარე ტაიძიხეს გაღმა ბენსიხუსთან ან სხვაგან სადმე უფრო დიდ ჯარს გაიყვანს გენ. კუროკი, თუ არა, ამის გამოცნობა ძნელია. კუროკიმ რომ ბენსიხუსთან ტაიძიხეს მარჯვენა მხარეს საკმაოდ დიდი ჯარი გადაიყვანოს, შეუძლიან სადგურ იანტაისაკენ გაილაშქროს და ლიაოიანსა და რუსის არმიას ჩრდილოეთიდან წრე შემოავლოს, მაგრამ ასეთ დიდ მდინარეში გასვლა მრისხანე მტრის თვალწინ მეტად საშიში საქმეა. გინდ მდინარეშიაც დაუბრკოლებლივ გავიდეს, რუსებს შეუძლიანთ ეს რაზმი იაპონელების უმთავრეს ჯარს მოსწყვიტონ, გზა მოუჭრან, მერე დიდი ჯარი დაახვიონ და წრე შემოავლონ. ამიტომ უფრო ჭკუას ახლო იქნება, რომ მდინარე ტაიძიხეში გასვლა გენ. ოკუს არმიას დაევალოს და არა გენ. კუროკის არმიას.

ოკუს არმიამ 21 ივლისს ხაიჩენი და ნიუჩუანი დაიჭირა და თავისი მოწინავე რაზმები ხაიჩენიდან 15 ვერსის მანძილზე ჩრდილოეთისაკენ გორებზე დააყენა. მეორე არმია 25 ვერსის სიგრძეზეა გამწკრივებული მთის ძირიდან მდინარე ტაიძიხემდე. ჩრდილოეთისაკენ გალაშქრება გენ. ოკუს სამის გზით შეუძლიან: რკინის გზის პირ-პირ, ამ გზის აღმოსავლეთით გაყვანილ ხაიჩენ-ლიაოიანის გზით და რკინის გზის დასავლეთით, ნიუჩუან-ლიაოიანის გზით. სად დგას ოკუს უმთავრესი ჯარი, ნიუჩანში (ძველი ნიუჩუანი, 30 ვერსის მანძილზე მდებარეობს ინკოუს, ან ახალ ნიუჩუანის ჩრდილოეთით, ხაიჩენის პირდაპირ), თუ ხაიჩენში, ეს არავინ იცის. თუ გენ. ოკუ მდინარე ტაიძიხეს მარჯვენა მხარეს გასვლასა, სადგურ იანტაისაკენ გალაშქრებასა და გენ. კუროპატკინის ჯარზე ზურგიდან დაცემას აპირობს, მაშინ ოკუს უმთავრესი ჯარი ნიუჩუანიდან დასავლეთის გზით ჩრდილოეთისაკენ გაილაშქრებს და, რასაკვირველია, არც მდინარის მარცხენა მხარეზე მომქმედ ჯართან გასწყვეტს კავშირს. თუ ასე მოხდა, მაშინ მომავალ სამხედრო მოქმედებაში უმთავრეს როლს, გენ. კუროკის არმიის ნაცვლად, გენ. ოკუს არმია შეასრულებს. გენ. ოკუს არმიას ამ ბოლოს დროს ერთი დივიზია მაშველი ჯარი მოუვიდა ინკოუდან. ამას გარდა გენ. ოკუს მდინარე ტაიძიხეზე პატარა გემებიც გაუწევენ დახმარებას; იაპონელებმა 1 დიდი, 3 პატარა კანონირი გემი და ნაღმიან გემების რაზმი გაგზავნეს კიდევაც მდინარე ლიაოთი ჩრდილოეთისაკენ.

გენ. ოკუს და გენ. კუროკის არმიებ შუა, ლიაოიანძიდან დუნსინპუმდე, 22 ვერსის მანძილზე, იაპონელებს 22 ივლისამდე მხოლოდ პატარა-პატარა რაზმები ედგათ, მაგრამ აქ მალე, უეჭველად გენ. ნოძუს არმია ჩადგება. გენ. ნოძუმ 18 ივლისს, მედგარ ბრძოლის შემდეგ, სიმუჩენი დაიჭირა და იქიდან ჩრდილოეთისაკენ გამოეშურა. გენ. კუროპატკინის დეპეშაში ეწერა, იაპონელებმა სიმუჩენიდან მთის გზით მდინარე სიდახეს ველისაკენ დიდი ჯარი გაგზავნესო, 22 ივლისს ერთი რაზმი ხაიჩენის პირდაპირ, იაოლინძის დაუახლოვდაო. იაოლინძიდან ცინჩანამდე, სადაც ჩრდილოეთისაკენ (თხავუანისაკენ) და დასავლეთისაკენ (ანშანჩანისაკენ) მიმავალი გზები ერთად იყრებიან, სულ 20 ვერსის მანძილია. რამწამს გენ. ნოძუს უმთავრესი ჯარი ცინჩანს მიუახლოვდება და გოიცაიპუძისა, ცინჩანსა და დუნსიპუს ახლო პოზიციებზე დადგება, მაშინ იაპონელების სამივე არმიის შეერთება და დაბინავება დასრულდება და დიდი ბრძოლაც მალე მოხდება. გენ. ნოძუს არმია დახმარებას გაუწევს გენ. ოკუსა და გენ. კუროკის არმიებს. ნოძუს არმიის მარჯვენა ფრთა ჩრდილოეთისაკენ გაილაშქრებს, თანხეიუანისაკენ წავა, რუსის რაზმს ლაძიშანთან (ლიანდიანსიანთან) ზურგიდან მოექცევა და ამით გენ. კუროკის მარცხენა ფრთას დიდ დახმარებას გაუწევს; ნოძუს მარცხენა ფრთა, ცხადია, ანშანჩანისაკენ გაილაშქრებს, მიაოლინის უღელტეხილს გადივლის, რუსის ჯარს აღმოსავლეთის მხრიდან, გვერდიდან დაეცემა და გენ. ოკუს ჯარს რუსის ჯარზე ფრონტიდან (წინიდან) იერიშის მიტანას გაუადვილებს.

გენ. კუროპატკინმაც ამ ჟამად თითქმის მთელი თავისი არმია სულ ლიაოიანთან შეკრიბა და ლიაოიანიდან 18—30 ვერსის მანძილზე იაპონელების ჯარის პირდაპირ დააყენა. ლიაოიანის სამხრეთით ანშინჩანთან და ლიაოიანის აღმოსავლეთით. ლაძიშანთანა და ანპინთან, ლიაოიანის ორსავ მხარეს გენ. კუროპატკინს, ეტყობა, თანასწორად ძლიერი რაზმები უყენია. ამას გარდა ლიაოიანშიაც დიდი ჯარი ჰყავს. ეს ჯარი მდ. ტაიძიხეს ხიდსა და რკინის გზას ჰდარაჯობს, რომ, თუ გარემოება მოიტანს, რუსის ჯარს უკან დახევა არ გაუძნელდეს. რკინის გზის ხიდს გარდა, მდ. ტაიძიხეზე სხვა ხის ხიდებიცაა გადებული, თუ არა, არ ვიცით. როგორ წავა საქმე, ვინ გაიმარჯვებს ლიაოიანთან ან ვინ წააგებს, არავინ იცის; ამაზე ლაპარაკი ტყუილ-უბრალო დროს დაკარგვა იქნება.

# ომში

### მოკლულნი, დაჭრილნი და ტყვედ წაყვანილნი

მთავარ-შტაბის განსაკუთრებული განყოფილება აცხადებს მოკლულთა, დაჭრილთა და ბრძოლის ველზე დარჩენილთა სიას:

18 ივლისს განგუალინსა და დაპუძას ბრძოლებში: მოკლულ იქმნენ: კაპიტანი ხალკიოპოვი, შტაბს-კაპიტანი პიროჟკოვი, პორუჩიკი სავინოვი და პოდპორუჩიკები—ზაევი და მუფელი; დაიჭრნენ: პოდპოლკოვნიკები—ტიშინი, გორიაჩევი, ვორონეჟის მე-124 პოლკის პოდპოლ. ლორთქიფანიძე (გაიკაწრა); კაპიტნები იაკოვლევი, სტეპანოვი, გრიშკოვსკი, კულჩიცკი, დავიდოვი; შტაბს-კაპიტნები—ბრეზინსკი, ბელიაკოვი, პავლოშევსკი; პორუჩიკები—სოკოლოვი, ზაკრევსკი, პოპელო, იაკოვლევი; პოდპორუჩიკები—ოვსიანიკოვი, პეტროშევსკი, სამოხვალოვი, ერეშევი, პოლოჩანინოვი.

# ახალი ამბავი

◆ როგორც გადმოგვცეს, პროფ. ვ. მ. პეტრიაშვილს უარი უთქვამს **ტფ. სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორობაზე** და სკოლის კომიტეტს ინსპექტორად ამავე სასწავლებლის მასწავლებელი ბ-ნი ივ. რატიშვილი აურჩევია.

◆ კავკასიის **სამოსწავლო ოლქის მზრუნველი** ბ-ნი ზავადსკი სამსახურის საქმეებისა გამო პეტერბურგში იმყოფება. ოლქის საქმეების დროებით მართვა-გამგეობა დაევალა ოლქის ინსპექტორს ლ. გ. ლაპატინსკის.

◆ ამ ცოტა ხანში **ტფილისში ჩამოვა** სატყეო დეპარტამენტის ვიცე-დირექტორი ლოპკოვსკი. ვიცე-დირექტორმა ადგილობრივ უნდა მოაწესრიგოს ზოგიერთი ტყის შესახები საქმეები.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ ნება დართო ქ-ნ როსტოვსკის გამართოს ერთის წლის ვადით **ალექსანდროვის ბაღში სამკითხველო.** ეს სამკითხველო ხეებს ქვეშ გაიმართება, ჩრდილში.

◆ **ქუთაისის ქალთა გიმნაზიაში** მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ და პირველ კლასებში მოხდება 25, 26 და 27 აგვისტოს. თხოვნები 20 აგვისტომდე მიიღება.

◆ ინჟენერს ე. შილლერს ნება დაერთო **ერევანსა და ალექსანდროპოლში ტელეფონი გამართოს.**

◆ ტფილისის საგუბერნიო **ქალაქის საქმეთა საკრებულომ არ დაამტკიცა** ტფილისის ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილება, 1000 მანეთის გადადების შესახებ ხმოსანთა საარჩევნო წიგნებისა და სიების შესადგენად 1906 წლისათვის, როდესაც არჩევნები უნდა მოხდეს. ქალაქის გამგეობამ 29 ივლისს დაადგინა, აცნობოს საბჭოს, რომ გამგეობა ეცდება უმათნხოდ შეასწოროს საარჩევნო წიგნები და შეადგინოს სიები.

◆ დედათა 1 გიმნაზიის დირექტორმა მისწერა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას, რადგან ქალაქის ერთმა სტიპენდიანტმა ქალმა ეფემია შუაქრიშვილმა წელს დაასრულა სწავლა, იმის ნაცვლად სხვა დანიშნეთ ვინმეო.

◆ შუა-ბაზარში, ეუკოვსკის სახლში, უეცრად გარდაიცვალა რაჭის მაზრის ფარაზეთის მცხოვრები ევთიმე სულაძე. გარდაცვალებულის გვამი მიხეილის სამკურნალოს საანატომიო განყოფილებაში გაჰგზავნეს.

◆ გოლოვინის პროსპექტზე წიგნების მკაზმელმა იაკობ ნონიევმა განუცხადა პოლიციას, ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა მომპარა შემნახველ გამსესხებელ კასის წიგნი № 1777.

◆ 16 ივლისიდან 28 ივლისამდე ქალაქში 2 კაცი გამხდარა ავად ყელისპირვებით, 5 ხურვებით და 3 ყივანა ხველით.

**შეცდომის გასწორება.** „ცნობის ფურცლის“ მე-2569 ნომრის ფელეტონში, (ა. პ. ჩეხოვი), პირველ სვეტზე, მე-11 სტრიქონში შეცდომით დაბეჭდილია „გაბრიელ აპოსტროფია და ანუნციო“. უნდა იყოს: „გაბრიელ დ' ანუნციო.“

# რუსეთის ქრონიკა

◆ ქ. ეკატერინბურგში 189 დატყვევებული იაპონელი მოუყვანიათ, რომელთაც სულ მოკლე ხანში უშოვიათ თავისთვის სამუშაო. იაპონელთა უმეტესი ნაწილი—ხელოსნებია და სხვა-და-სხვა სახელოსნოებში დამდგარან; ზოგნი მზარეულებადა და მოსამსახურეებად შესულან ადგილობრივ სასტუმროებში, იაპონელი ქალები-კი—გამდლებად ოჯახებში და მკერვალებად სხვა-და-სხვა სამკერვალოებში. ეს იაპონელები ვლადივოსტოკისა და ნიკოლსკ-უსსურისკის მშვიდობიანი მცხოვრებლები ყოფილან.

◆ „პეტ. ვედ.“-ს სწერენ, რომ ციმბირში ძლიერ გაძვირდა ყველაფერი. მაგალითად ბლაგოვეშჩენსკში თითო ვარსკვლავი აფიცრის ეპოლეტისათვის 3—4 მან. ღირს, წყვილი ჩექმა 60—80 მან. ამ მოკლე ხანში

# ფელეტონი

## თანამედროვე ინგლისური მხატვრობა

(გაგრძელება *)

როგორც ზემოდაც გვქონდა ნათქვამი, იტალიურმა და ფლამანდურმა სკოლებმა შესძინეს კაცობრიობას თანამედროვე მხატვრობის ყველა ფორმა; სხვა ახალი ფორმა არ შეუმუშავებია არც ერთ ეროვნულ სკოლას, ესპანიურსაც კი, რომელიც ასე მდიდარია გენიოს ხელოვანებით.

მართალია, მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან და თითქმის მთელი მეთვრამეტე საუკუნე მთელ ევროპაში მხატვრობამ გვერდი აუხვია როგორც იტალიელების მაღალ იდეალიზმს, ისე ჰოლანდიელების რეალიზმს. სამეფო კარის ბრწყინვალებისა და დიდკაცობის ფუქსავატ ცხოვრების ზედგავლენით მხატვრობა, ისე როგორც ლიტერატურა, დაწვრილმანდა: მისი საგანი გახდა ფანტასტიური მწყემსი ქალ-ვაჟი, თავქარიანი მასდილოსნები და მათი კავალრები, ტიკინებსავით მორთულ-მოკაზმული, ფანტასტიურ ტყეებსა და გორაკებზე, ვარდ-ყვავილებსა და შადრევნებ შორის. ამ დროის მხატვრობა, რომლის საუკეთესო წარმომადგენლად ვატტო ითვლება, სიმართლეს, ნამდვილ ბუნებას კი არ ეძებდა; იგი მოწადინებული იყო შეექმნა ბრწყინვალე წვრილმანები, მოხდენილი მორთულობა და არა-ბუნებრივობის ხანაში ხეებსაც კი ნაძალადევ გეომეტრიულ ფორმას აძლევდნენ: გაკრეჭვისა და გადაღუნვის საშუალებით. დროის ხასიათი, როგორც ყოველთვის, აქაც აღიბეჭდა ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. პოეტი და ხელოვანი თვით დროის უგრძნობიერესი, უფაქიზესი შვილები არიან.

რეფორმაციის ეპოქის დიდებულ ისტორიულ მოვლენებმა (ამერიკის აღმოჩენა, ბრძოლა ჰოლანდიის დამოუკიდებლობისათვის, მოძრაობა ჰუგენოტებისა საფრანგეთში და პურიტანებისა ინგლისში) არა ჩვეულებრივი გატაცებული მოძრაობა გამოიწვია ადამიანის მოღვაწეობის ყოველ სფეროში და მთელი ერთ-ნახევარი საუკუნე (1490—1660) მაჯა მოქალაქეობრივ, გონებრივ და შემოქმედებით ცხოვრებისა სცემდა ისეთის ენერგიით, რომლის მზგავსს ჩვენ ვერ ვხედავთ საბერძნეთის აყვავების ხანიდან, ე. ი. ბერძენ-სპარსელების ომიანობიდან დაწყებული მაკედონელების სამხედრო ბარბაროსობის გამარჯვებამდე. ზერელედაც რომ გადაავლოთ თვალი ამ საკვირველ დროს, არ შეგიძლიათ არ განცვიფრდეთ დიდებულ ხასიათების, გაბედულ გონებისა და ნიჭის სიმრავლით. კოლუმბიიდან დაწყებული და კრომველით გათავებული ამ ეპოქამ, როცა ასეთი დიდებული საზოგადოებრივი მოძრაობანი იყო და ამდენი სისხლი დაიღვარა სინიდისის თავისუფლებისა და მუნიციპალურ და ეროვნულ უფლებათათვის, შექმნა ადამიანის მოქმედების ყოველ დარგში უმაღლესი გენიოსები, შექსპირი, სერვანტესი, რაბლე, მილტონი—პოეზიაში; ბეკონი, გალილეი, კეპლერი, დეკარტი, პასკალი—მეცნიერებაში; თომას მორუსი, ერაზმი, გუგო გროციუსი, რამუსი—სოციალურ მეცნიერებაში, მაკიაველი, კოლინიი, ვილჰელმ ორანჟელი, სიული და კრომველი—პოლიტიკაში. ყველა ესენი ბუმბერაზები არიან ღრმად აღელვებულ საზოგადოებრივ ცხოვრებისა, ან აღმოცენებულნი.

უადრეს აყვავებას მიაღწია ხელოვნებამაც სულ იმავ მოძრავ საზოგადოებრივ, გონებრივ და პოლიტიკურ ცხოვრების მიზეზით. იტალიის, ჰოლანდიის და ესპანიის დიდებული ხელოვნება ამ ეპოქის შვილები არიან. მათ ისტორიულსა და ზნე-ჩვეულების სურათებს აზვია ბეჭედი ამ მღელვარე დროის ხასიათისა, იმ დროისა, რომელიც ასე ნაყოფიერი იყო თავის საზოგადოებრივ თვით-მოქმედებითა და გაბედულ პირად და კოლექტიურ ინიციატივით. ამ ხელოვანების დახატული პორტრეტები მწერლებისა, რეფორმაციის მქადაგებლებისა, მოქალაქეებისა და მხედრებისა დღესაც თვალ წინ გვიყენებენ ამ საკვირველ საუკუნეს ულმობელ ბრძოლისას, გაბედულ აზრისას და გმირულ ხასიათებისას. არა თუ პოეზიასა და მხატვრობას, ქანდაკებასა და ხუროთ-მოძღვრებასაც აზის ბეჭედი გაბედულ განზრახვისა, აღსრულების სიძლიერის და თავისუფრობისა! ეს საგანგებოდ თვალსაჩინოდ სჩანს მიქელ ანჯელოზე, რომელიც უდიდესი მქანდაკებელი, მხატვარი და ხუროთმოძღვარი იყო. წმ. პეტრეს ტაძრის თაღი და კოლონადა, ლორენცო ბრწყინვალის ძეგლი და ამ ძეგლის ჯგუფი, მისი წინასწარმეტყველი, საშინელი სამსჯავრო და სხვა ქმნილებანი მიქელ ანჯელოს გენიოსობისა, განზრახვისა და აღსრულების გაბედულებითა და სიძლიერით დღემდე მიუღწეველად დარჩენილა...

ამ საზოგადო შენიშვნებით შესახებ ნამდვილ ცხოვრების და ისტორიულ მოვლენათა გავლენისა ხელოვნებაზე, აგრეთვე იმის აღნიშვნით, რომ იტალიურმა და ფლამანდურმა სკოლებმა შეიმუშავეს თანამედროვე მხატვრობის ყველა ფორმები, ჩვენ გვსურდა მიგვეცა ჩვენის მკითხველისათვის თუნდ სულ სუსტი წარმოდგენა საზოგადო სახელმძღვანელო შეხედულებაზე შესახებ ხელოვნებისა, ხელოვნების ისტორიულ განვითარებაზე და მის დამოკიდებულებაზე ნამდვილ ცხოვრებასთან. ჩვენ კარგად გვესმის ამ შენიშვნების მთელი ზერელობა და სისუსტე, მაგრამ რესკინის, ტენის, პრუდონის ამ „ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთ ესტეტიურ დამოკიდებულების“ ავტორის სახელოვნობო შეხედულებათა დაწვრილებით გადმოცემა გაზეთის ფელეტონში ახირებული უადგილობა იქნებოდა. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მკითხველი გვაპატიებს ამ ჩვენის შესავლის სიმოკლეს, და ამიტომ ეხლა შევუდგებით თანამედროვე ინგლისურ სკოლის მხატვრობის მიმოხილვას და დახასიათებას.

ლონდონელი

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2562.

არ ელიან ფასების შემცირებას, რადგან რკინის გზა ჯარის გადმოყვანას და სამხედრო მასალის ზიდვას უნდება.

◆ ვლადივასტოკიდან სწერენ „ნოვ. ვრ.“-ს, რომ ახალ სამოსწავლო წლიდან ადგილობრივ გიმნაზიის მოწაფეებს უახლოეს ქალაქის გიმნაზიაში გადაიყვანენო.

◆ ჩვენ მხარეს ერთი დაუჯერებელი ამბავი მოხდაო, სწერს ირკუტსკის გაზეთის კორრესპონდენტი. სოფელ ნიჟნეუდინსკის მოჰპარეს მდინარე.... დილა ადრიანად მცხოვრებლები წყლის მოსატანად წავიდნენ მდინარეზე და თავის თვალით დაინახეს, რომ მდინარე სადღაც გაპარულა. გაჰყვნენ მდინარეს დარჩენილ კალაპოტს და მალე შეიტყეს, რომ ციმბირის რკინის გზის გამგეობას თავის საჭიროებისათვის გადაუყვანია წყალი სხვა კალაპოტში და მცხოვრებლები მშრალზე დაუსვამს.

კარგია, რომ მზის შუქსა და ჰაერს ვერ ჩაიგდებს ხელში გამგეობა, თორემ სულ აღვიგვებოდით პირისაგან ქვეყანისაო, სწერს კორესპონდენტი.

◆ პეტერბურგში გამოაქვეყნეს საინტერესო ცნობები იმის შესახებ, თუ 1899 წლიდან მოკიდებული რა ფასის მოძრავი საკუთრება დაინიშნა საჯარო ვაჭრობით გასასყიდად და რამდენი გაიყიდა. მოყვანილ ციფრებიდან სჩანს, რომ პეტერბურგის მცხოვრებთა დავალიანება და უსახსრობა სულ მატულობს. მაგალითად, 1899 წ. $3^{1}/_{2}$ მილიონად ღირებული მოძრავი საკუთრება დაინიშნა გასასყიდად და მხოლოდ მესამედი გაიყიდა, 1900 წელს—$4^{1}/_{4}$ მილიონის საკუთრებიდან მესამედზე ნაკლები გაიყიდა. 1903 წ. ხუთ მილიონ მანეთის საქონლისა მხოლოდ მეხუთედი ნაწილი გაიყიდა.

◆ წელს სრულდება 100 წელიწადი მას შემდეგ, რაც ებრაელთა სამიწათ-მოქმედო ახალშენები დაარსდა ხერსონისა და ეკატერინოსლავის გუბერნიებში. ახლა ამ ახალშენებში 35 ათასი მიწის მუშა ებრაელი ცხოვრობს, რომელთაც 82 დესეტინა ადგილი დაუმუშავებიათ.

◆ „პრიაზ. კრ.“-ში დაბეჭდილია სარატოვის პოლიცმეისტრის საყურადღებო ბრძანება. პოლიცმეისტერი აღნიშნავს, რომ მთხოვნელები დიდ ხანს იცდიან ხოლმე საბოქაულოებში, სანამ მათ ყურადღებას მიაქცევდნენ და ამბავს ჰკითხავდნენ, საქმეზე მოსულ პოლიციის მოხელეთ-კი ადრე ღებულობენ და აკმაყოფილებენ. პოლიცმეისტრის ბრძანებით, მოხელეებმა ამიერიდან ჯერ კერძო პირები უნდა გაისტუმრონ და მერე თავისი თანამოსამსახურენი.

◆ „უსაქმო კაცი ცხვირს იზომავდაო“, ნათქვამია, და ამ ანდაზას ვარშავის ქონშემოკრებილნი და უსაქმურნი ამოწმებენ. ამათ დაუარსებიათ ეგრედ წოდებული „კარგი ზრდილობის“ სკოლა, ბავშვებს ასწავლიან მხოლოდ ლაზათიან მიხვრა-მოხვრას, საზოგადოებაში ზრდილობიან ქცევას, კარგ მანერებს, ერთი სიტყვით, სხეულის ლამაზ ვარჯიშობასა და სულის უმოძრაობას.

◆ პეტერბურგის სასანიტარო კომისიას ჩრდილოეთის ზაფხულის მიწურულში გამოუცია სავალდებულო წესები საგრილობელ „მაროჟნი“-ს მოვაჭრეების შესახებ.

◆ მთავრობამ უარ-ჰყო კბილის ექიმთა შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ სამხედრო ბეგრის ასრულების დროს კბილის ექიმებად მიეღოთ ისინი ჯარში.

◆ საერო განათლების სამინისტრომ წინადადებით მიჰმართა უნივერსიტეტების საბჭოებს ახალ ენების სწავლების გაუმჯობესების შესახებ.

◆ მომავალ სამოსწავლო წლიდან (1904—1905) რუსეთის 11 ქალაქში გაიხსნება ახალი რეალური სასწავლებლები, სხვათა შორის, გროზნასა და სოხუმშიაც.

◆ რკინის გზებისა და სამხედრო უწყებანი შემთანხმდნენ იმის შესახებ, რომ განახლდეს რკინის გზებზე ციმბირში გასაგზავნ საქონლის მიღება, ხოლო მიღებულმა საქონელმა თავის რიგს უნდა უცადოს და შეიძლება გზაშიაც დაიგვიანოს.

◆ გზათა სამინისტროს აზრით ჩანჩქერები და მდინარეთა ჩქეფები მთავრობის საკუთრებად უნდა იქმნან ცნობილნი. ამ საკითხის გადასაწყვეტად დაარსდება განსაკუთრებული კომისია.

◆ პიატიგორსკში მიუყვანიათ ერთი უიმედოდ ავადმყოფი ქალი ბეზსონოვისა, რომელსაც ქმარიც მიჰყოლია თან. ამ ბოლო დროს იმედ მიხდილ ცოლ-ქმარს გადაუწყვეტიათ თავის მოკვლა ერთად. ქმარს უსროლია რევოლვერი ავადმყოფ ცოლისათვის, მაგრამ მხოლოდ დაუჭრია, შემდეგ თავის გულში დაუცია და იქვე მომკვდარა. საცოდავ დაჭრილ ავადმყოფ ქალს წაუვლია ხელი რევოლვერისათვის, თავის გულზე მიუდვია და უსროლია. ორ ალაგას დაჭრილი უბედური ქალიც მალე გადაცვლილა. მთელი ქალაქი აღელვა ამ უბედურმა შემთხვევამ. ბეზსონოვს ერთი წელიწადი არ არის, რაც მოსკოვში ფილოლოგიური ფაკულტეტი დაუსრულებია.

◆ ტელეგრაფით დეპეშათა გადაცემის დასაჩქარებლად ფოსტა-ტელეგრაფის წარმომადგენელთა კრებაზე დაუდგენიათ შემუშავებულ იქნას ტელეგრაფისათვის შემოკლებულ სიტყვების ლექსიკონი.

◆ რუსეთის საქველმოქმედო საზოგადოებათ იწვევენ 1905 წელს ლიეჟში (ბელგია), სადაც მოხდება კრება ბავშვების აღზრდამფარველობის ასპარეზზე მოღვაწეთა.

# სასამართლო

## I

### ყაჩაღობა

თელავის მაზრის სოფელ ყვარელში 1903 წელს 7 დეკემბერს, საღამოთი, ოთხი ბოროტ-განმზრახველი შეჰვარდნია ამ სოფლის გლეხს სიმონ კოკორაშვილს. ერთი ბოროტ-განმზრახველი შეიარაღებული ყოფილა. ამ დროს შინ ყოფილან თვით სახლის პატრონი, იმისი ცოლი და ერთი მსახური, მიხეილ კუპრაშვილი. ბოროტ-განმზრახველნი მივარდნიან კოკორაშვილს და უთქვამთ, ფული მოგვეცით, თორემ ეხლავე გაგათავებთო. ფულის თხოვნის დროს ერთს, საბა სეფაშვილს, ამოუღია ხანჯალი, ჯერ სიკვდილს დაჰმუქრებია კოკორაშვილს, შემდეგ რამდენგანმე დაუჭრია. ანასტასია კოკორაშვილს ამოუღია რაც ფული ჰქონია – 40 მან. და გადაუცია ივანე ამანაშვილისათვის, მერე უჩვენებია საფულე ყუთი და უთქვამს, აი, ამის მეტი არა გვაქვს, წაიღეთ ესეცაო. ბოროტ-განმზრახველთ ყუთიდან ამოუღიათ 40 მან. და გაიქცნენ. კოკორაშვილებს ლამპა ნთებიათ ავაზაკების შინ შეცვივნის დროს და კარგად შეუნიშნავთ სანთლის შუქზე, რომ ბოროტ-განმზრახველები სოფელ ყვარლისავე მცხოვრებნი იყვნენ, გლეხნი სიმონ და საბა სეფაშვილები, ივანე ამენაშვილი და ისააკ ფირანაშვილი. მოსამსახურე ბიჭი კუპრაშვილი შიშით ავაზაკების შევარდნის დროს ტახტს ქვეშ შემძვრალა და იქიდან დაუნახავს, რომ ავაზაკებში ერთი იმისი კარგი ნაცნობი, ყვარელშივე მცხოვრები საბა სეფაშვილი ყოფილა. ავაზაკების შეცვივნის დროს კოკორაშვილებმა ბევრი იყვირეს, მაგრამ მეზობლებში ვერავინ ვერ გაბედა დახმარება. მივიდნენ მაშინ, როცა ბოროტ-განმზრახველნი მიიმალნენ. გამოძიების დროს დარწმუნებულან, რომ ეს ავაზაკობა უნდა ზემოდ აღნიშნულ პირთ ჩაედინათ. ამ რამდენიმე ხნის წინად ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიას თელავში გაურჩევია ეს საქმე. ბრალდებულთ უთქვამთ, იმ დროს, როცა ეს ყაჩაღობა მომხდარა, ჩვენგანი პირველი თავის დასთან ბარბალე ბაჩაგოშვილთან იყო, მეორე გაბრიელ სეფაშვილის სახლში, მესამე გიორგი სომხიაშვილის დუქანში და მეოთხე თავის სახლშიო. ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია ოთხივე ბრალდებული და გადაუწყვეტია მათთვის ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და კატორღაში გაგზავნა რვა-რვა წლით. ბრალდებულთ საქმე გადაუტანიათ პალატაში: ამანაშვილს იცავდა ნაფიცი ვექილი კლანქი, ხოლო დანარჩენ ბრალდებულთ თავ. ი. ბარათაშვილი. პალატამ ამენაშვილი უდანაშაულოდ იცნო და გაამართლა, ხოლო დანარჩენების შესახებ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

## II

მკითხველებს ეხსომებათ, რომ თავ. დიმიტრი სულხანის ძე ჭავჭავაძემ ანდერძით დაუტოვა კავკასიის სამოსწავლო ოლქს 400,000 მან., რომელსაც ეს ფულები უნდა მოეხმარა სწავლა-განათლების საქმეზე. თავ. ჭავჭავაძის მემკვიდრეებმა საჩივარი აღძრეს და განაცხადეს, რომ მოანდერძე ბოლო დროს სულიერად ავად იყოო და ანდერძს მნიშვნელობა არ უნდა მიეცესო. ამაზე ატეხილი დავა ეს რამდენიმე წელიწადია სწარმოებს. როგორც შევიტყვეთ, სამოსწავლო ოლქის წარმომადგენელს და თავ. ჭავჭავაძის მემკვიდრეებს შორის ლაპარაკი ჩამოვარდნილა მორიგებით საქმის გათავების შესახებ.

# თეატრი

ბრიუსელი. 14 ივლისს ბრიუსელის სამეფო საზოგადოების „La Grande Harmonie“-ს სამუსიკო დარბაზში გაიმართა საკონკურსო კონცერტი, რომელზედაც ჯილდოს მისაღებად გამოვიდა ორი არტისტი: ბელგიის სამხედრო მინისტრად ნამყოფი ბ. ბრასსინის ასული ქ-ნი მარგარიტა (პიანინოს დამკვრელი) და ბ-ნი დავით დავიდიანი (სკრიპკის დამკვრელი). ამ უკანასკნელის სახელს ჩვენებური საზოგადოება რამდენადმე უკვე უნდა იცნობდეს, რადგან ბ-ნი დავიდიანი ამ ერთი ორი წლის წინად კავკასიაში მართავდა კონცერტებს: გამართა რამდენიმე კონცერტი საქველმოქმედო აზრითაც, სხვათა შორის, ცხინვალელ დაზარალებულთა სასარგებლოდ. ბინადრობით ბ-ნი დავიდიანი ბათუმელია. სამუსიკო განათლება მიუღია ვენეციის კონსერვატორიაში. იქვე მიღებული აქვს მესკრიპკეობის პირველი ჯილდო. შემდეგ სწავლობდა ბრიუსელში, კონსერვატორის პროფესორის ცნობილ მესკრიპკის, ტომსონის ხელმძღვანელობით. უკანასკნელ ხანებს იგი შრომობდა პრაგაში სახელ-განთქმულ მესკრიპკე კუბელიკის და პროფესორ შევჩიკის ხელმძღვანელობით.

14 ივლისის ზემოხსენებულ კონცერტს დაესწრო ორი ათასამდე მსმენელი. პროგრამა შესდგებოდა ორის განყოფილებისაგან. პირველში ბ-ნმა დავიდიანმა დაუკრა ორკესტრის აკომპანიმენტით ტარტინის Concerte en ré mineur. საზოგადოებამ უხვად დააჯილდოვა ტაშის ცემით და ხელ-მეორედ გამოიწვია. მეორე განყოფილებაში ბ-ნ დავიდიანს დანიშნული ჰქონდა 18 პიესა. „ჟური“-მ, რომელსაც შეადგენენ ადგილობრივ კონსერვატორიის პროფესორები და ცნობილი მემუსიკენი, 12 კაცი, ბ-ნ დავით დავიდიანს მიანიჭა წარჩინებულობის პრემია (prix d' excellence). **ლ.**

# წერილები

**სიღნაღი.** ისეთი შენს მტერს, რაც ჩვენ დაგვემართა, შემომჩივლა ერთმა დარბაისელმა მეგობარმა: ჩვენთვის გულის არავის შესტკივა და ყურადღებას არავინ გვაქცევსო. მერე რა დაგემართათ მეთქი, შევეკითხე გულ-ჩათუთქულს სიღნაღელს.—რაღა არ დაგვემართა,—კაცოო: დილით საღამომდის წელსწახრილნი ვმუშაობთ ლუკმა-პურისათვის და ღამე-კი არხეინათ ძილის მაგიერ შიშის თვალით ვათენებთ, ბოროტ-მომქმედნი არ შემოგვიცვინდნენ და ისეც მოკლე სიცოცხლე არ მოგვისწრაფონ. უფრო-კი ის გვაშინებს, ვაი-ვაგლახით და სისხლის ოფლით ნაშოვნ-ნაამაგარი ჭირნახული არ წაიღონ და ცარიელ-ტარიელნი არ დაგვტოვონო. ასეთი ძარცვა-გლეჯა და კაცის კვლა არის ეხლა სიღნაღში, რომ მეტი აღარ შეიძლება. ისე შეშინდა ხალხი, რომ შიშისაგან გარედ ველარ გამოსულა. ან-კი როგორ არ შეშინდება, როდესაც ამ ცოტას ხანში რამდენიმე შემაძრწუნებელი ამბავი მოჰხდა. ჯერ იყო და ვაჭარ ხარაზიშვილს შეუცვივდა ოთხი კაცი, და აჩეხეს, მართალია დაჩეხილმა იცნო ავაზაკნი და უჩვენათ, რომელიც ერთი დღე დაატუსაღეს კიდევაც, მაგრამ მერე გამოუშვეს, დაჩეხილი ხარაზაშვილი კი მეორე დღესვე გარდაიცვალა. მერე ორნი ძმანი ვაჭარნი, არხეინად მსხდომნი თავიანთ დუქანში, თოფით დახოცეს საღამოს. ახლა ხომ ნიკო ოკაკიმოვი აკუწეს თავის საწოლ ოთახში და სხვა წვრილმან ქურდობას ვინღა ჩამოსთვლის. 21 ივლისს ვაჭარ იაგუპოვს მიუხდნენ, რომელმაც თოფის სროლით მოიგერია. არავის არ ახსოვს ამისთანა ძარცვა-გლეჯა სიღნაღში. 24 ივლისს მაზრის უფროსმა შეჰკრიბა ხალხი და გამოუცხადა, თორმეტი კაცი უნდა დაიქირაოთ ყარაულად ღამის რაინდების დასაჭერადაო. **რიგოსანი.**

---

**თელავი.** არ ვიცი, რას მიეწერება ჩვენი ხმოსნების უგულო საქციელი ქალაქისადმი. არა თუ ჩვეულებრივი სხდომები არა სდგება რწმუნებულთა დაუსწრებლობისა გამო, საგანგებოსაც აღარ ესწრებიან, და როგორც თვით მამასახლისი იხსენიებს ოქმში, სამ თვეში ერთხელ ერთი სხდომა ძლივს ხერხდება. 19 ივლისს დანიშნული ჩვეულებრივი კრება არ შესდგა, იქნება იმისთვის, რომ მარტო ორი საკითხი იყო განსახილველი: საქალაქო დუქნების ამშენებელ მოიჯარადრის თხოვნა ახალ ვადის დანიშვნის შესახებ და ამბულატორიისთვის შენობის დაქირავების შესახებ. იქნება მკითხველმა არც-კი იცოდეს, რომ ამ წლის დასაწყისში ქალაქმა სამკურნალო დააარსა ერთის საწოლით. იმის დანიშნულება ის იყო, რომ შეუძლებელ მცხოვრებთ დახმარება აღმოეჩინა. მოქმედება-კი დაიწყოს, მაგრამ მალე დაიხშო კარები. ექიმი, რომელიც სამხედრო უწყებაში მსახურებდა, სხვაგან გადაიყვანეს, ფერშალიც დაითხოვეს და ამბულატორიასაც სიცოცხლე მოესპო. დღემდის გამოკეტილია მისი კარები, თუმცა ეს, როგორც აქამომდე, ეხლა ექიმის უშოვნელობას ვერ მიეწერება. შემდეგ საგანგებო კრება 26 ივლისისთვის იყო დანიშნული. ამ ორ საკითხის გარდა უნდა განეხილათ ხოლერის წინააღმდეგ ზომების მიღების საქმე და ამისთვის საჭირო ფულის გადადება, მაგრამ, როგორც ეტყობა, ქალაქის რწმუნებულთ არც ხოლერისა ჰშინებიათ, მარტო 3—4 ხმოსანი დაესწრო და კიდევ სხდომა არ შესდგა. მხოლოდ ხმოსან იშხანოვის თხოვნით წაიკითხეს წინა კრების ოქმი. იშხანოვს განცხადება შეუტანია თვითმმართველობაში, რომლითაც ბრალსა სდებს მოურავს და ხმოსნებს, ყურადღებას არაფერს აქცევენო. საზოგადო გზა სხვამ დაისაკუთრა, ქალაქის ადგილზე დუქნები ააშენეს ქალაქის მასალით და სხვა. მამასახლისს თავის მხრივ ცნობები შეუკრეფია და მოუხსენებია სხდომისთვის, რომ ეს ადგილი და გზა თვით ქალაქს მიუცია შემლიაბავ თათუზოვისთვის 1888 წელს და სხვა. ამ საგნის განხილვის დროს მოსვლიათ ლაპარაკი და დაუწყიათ ყვირილი. ამის გამო მოურავს ცალკე ოქმი შეუდგენია. ბ-ნი იშხანოვი ოქმების პირსა თხოულობს განსასაჩივრებლად.

ეს ორი კვირა იქნება, რაც სეირნობის გასამართავად ბეჯითი სამზადისია. სეირნობა გაიმართა, როგორც შარშან, აქაურ ბიბლიოთეკის სასარგებლოდ 25 ივლისს ქ-ნ ნებაროვის ეზოში. ყოველი სამუალება იხმარეს საღამოს უკედ მოწყობისათვის. სეირნობას დიასახლისობდა კნ. ვ. კ. ვაჩნაძისა, ხოლო გამგეებად იყვნენ ბიბლიოთეკის მმართველნი—ქ-ნი ზარაფიშვილისა და ბ-ნი მარქაროვი. საღამომ მხიარულად ჩაიარა, ეზო მართული იყო ფანჩატურებით, გრეხილებით, ფერადი ყუმბარებით და ბაირაღებით. უკრავდა სამხედრო მუზიკა და ზურნა. ქალ-ვაჟთა გუნდმა ბ-ნ სულხანიშვილის ლოტბარობით ქართული სიმღერები შეასრულა. იმედი აქვთ, რომ წმინდა მოგება 250 მ. იქნება. აქამდის თუ საქონელს მალვით იპარავდნენ, ეხლა თვალ და თვალ, ცხადლივ იტაცებენ. 22 ივლისს ლეკებს თელავში ცხენი ჰყავდათ გასასყიდი. ჩვეულებისამებრ შეჰჯდარა ცხენზე გასასინჯად და ვითომ-და სასყიდლად სოფ. რუისპირის მცხოვრები, თელავში პოლიციელად ნამყოფი ძმუკაშვილი. გაუჭენებია ბაზარზე, დაუბრუნებია კურდღელაურისკენ და მოუკურცხლნია ქალაქისკენ. შეატყობინეს საერობო დარაჯებს. მაშინვე აფრინეს ცხენები, მიჰყვნენ კვალ და კვალ, მაგრამ მორჩა, დღესაც მიდის. თიანეთის მაზრისკენ წაუყვანია, სადაც უფრო ადვილად გაასაღებს ქისტებში. 24 ივლისს-კი მალვით გაქურდეს შარა გზაზე ბაყლის დუქანი. წაიღეს 100 მან. საქონელი. მაზრაში ქურდობა წინანდებურად ისე ხშირია, რომ იმის აღნუსხვას ერთი სტატისტიკოსი არ ეყოფა. **დიმიტრაშვილი**

---

**ოზურგეთი.** ხანგრძლივის სიცხე-პაპანაქების შემდეგ საგრძნობლად აგრილდა. კვირაზე მეტია, რაც დედამიწა სქელს ბურუსშია გახვეული. ხან-და-ხან ჟუჟუნა წვიმასაც დაუშვებს ხოლმე. მეტი სისველის გამო ჰაერი ისე ამძიმდა, რომ სუნთქვა გვიძნელდება. ციებ-ცხელება ძვალსა და ბილში გაგვიჯდა და თავბრუ გვეხვევა. ვისაც დრო ჰქონდა და შეძლებაც შესწევდა, უშველა თავს და გაიხიზნა მთებში. ვინც საგარაკოდ გასვლა ვერ მოახერხა, სევდიანი ზის ოთახში და ცხოვრების ულმობლობაზე ჰფიქრობს. ამიტომ ქალაქში საშინელი მოწყენილობაა. ყველა ჰგრძნობს რაღაც გამოურკვეველ სულის მარტოობას. ჭორიკანობამ, რომლითაც ოზურგეთი ქებული იყო, შესამჩნევად იკლო. „იმან რა სთქვა“-ს კითხვით თავს აღარ გაბეზრებენ. ან-კი ვინ იჭორიკანოს, როდესაც ენა-წყლიანი შლაპოსნები საგარაკოდ არიან წასულნი. ოზურგეთელმა ვაჭრებმა ცუდად ჯდომას ცუდად ძილი ამჯობინეს, სძინავთ სულიერად, რადგან გონების სავარჯიშო არაფერი მოეპოვებათ; სძინავთ ფიზიკურადაც, ვინაიდან გულ-უხვი მუშტრები წინანდებურად ხშირის სტუმრობით არ აბეზრებენ თავს. სძინავს აგრეთვე ქალაქის თვითმმართველობასაც, უსახსრობის გამო არაფერზე ყურს არ იბერტყავს; აუარებელი საქმეები გაურიგებელი რჩება. არ სძინავს მარტო მდინარე ბჟუჯს. ის ნელ-ნელა ღრღნის ნაპირებს და მიიწევს ქალაქისაკენ. ამ „ღელის“ კალაპოტს თითქმის ნახევარი ვერსი სიგანე ექნება. ეხლა, როდესაც მდინარე თითქმის დამშრალია, სულ ადვილად შეიძლებოდა იმისი წინანდელ კალაპოტში ჩაგდება, მაგრამ სადაა კაცი!.. ოზურგეთის ერთმა მკვიდრმა ამ დღეებში სთხოვა ქალაქს, ნება მომეცით საკუთარის ხარჯით ქალაქის ბაღში კეგლი გავმართოვო. ქალაქმა შეიწყნარა თხოვნა და მალე კეგლის რახა-რუხი ბულვარს გამოაფხიზლებს. ოზურგეთის ბიბლიოთეკა-სამკითხველომ კარგა ხანია თქვენი ჭირი წაიღო. ეხლა, როგორც გავიგე, ქალაქი ჰფიქრობს, მკვდრეთით აღადგინოს უკვე წეს-აგებული სამკითხველო. ღმერთმა ხელი მოუმართოს ჩვენს „მამებს“, ისიც კარგია, რომ ხან-და-ხან მაინც ჰფიქრობენ ქალაქისათვის. ოზურგეთელები ამ ბოლო დროს ძალიან დაეჩვივნენ გაზეთების კითხვას. დიდიც და პატარაც, ერიც და ბერიც მოუთმენლად ელოდება ფოსტის მოსვლას. ყველას ჰსურს დროიანად გაიგოს ახალი ამბები. გაზეთის შოვნა ადვილია, რადგან ზოგიერთ გაზეთს იწერენ აქ და ჰყიდიან. გაზეთები იმ დღეს მოდის, რა დღესაც ტფილისში იბეჭდება. ნათქვამია: „ზოგი ჭირი მარგებელიაო“. ჩვენში დარჩეს, ოზურგეთელებისათვის ხოლერის გაჩენის ხმა სასარგებლო გამოდგა. ჩვენმა სანიტარებმა რომ გაიგეს სპარსეთს ხოლერა მოსდებიაო, მაშინვე გამოფხიზლდნენ და შეუდგნენ თავდარიგს. სათითაოდ ჩამოუარეს და მცხოვრებთ გამოუცხადეს: „გავალებთ, ერთის კვირის განმავლობაში დაასუფთაოთ ეზოებიო“... ეხლა ყველა სცდილობს სისუფთავისათვის და მთელის წლობით შეყრილს პატივს ეზოდან ეზიდებიან. ნეტავი ამდენ ხანს სად იყო ეს დალოცვილი ხოლერა! **ი. წუწუნავა.**

---

**ჭალენჯიხის ნაწილი** (სამეგრელო). ამაზე უარესი წელიწადი ჯერ არ გვახსოვს. ყოველგვარ ნაკლულევანებას ვითმენდით, მაგრამ რაც ეხლაა, არასოდეს არ ყოფილა. აქეთა სოფლებში ნახევარს აღარ აქვს სიმინდი და სამურზაყანოდან ეზიდებიან, რასაკვირველია, ვისაც შეძლება აქვს. რასაც სიმინდის ფასს ვიხდით, ერთი იმოდენა მოტანა ჯდება. ადგილობრივაც ზოგიერთ მემამულეებთან მოიპოვება გასასყიდი სიმინდი, მაგრამ ფასი 80 კაპ. ერთ მანეთამდეა. ჯერ კიდევ სამი თვეა ახალ სიმინდის შემოსვლამდე და მანამდე, უეჭველია, ფასი მოიმატებს. წინად ორიოდე გროშს პარკის გაყიდვით იღებდნენ, ამ წელს ამის იმედიც გაგვიცრუვდა, ფუთი 10 მანეთს ზევით არ აუწევია. **ხოსოია.**

---

**მცხეთა** (ქართლი). ორი თვეა, წვეთი ნამი აღ არ გვღირსებია, საშინელმა სიცხეებმა სულ გადაახმო აქა-

ური ცენარეულობა. ეს ორი კვირა იქნება, მოატანს საღამოს ჟამი თუ არა, ამოვარდება საშინელი დაუდგრომელი დასავლეთის ქარი და აქაურ კალოების ბზესა და ჩალა-ნაგავს მოსდებს მთელს სოფლებში. თუმცა-კი ყოველ კვირა აგვეინებენ აქაური სანიტარები, მაგრამ არა გაეწყოვრა, როდესაც კალოები შიგ შუა სოფელშია მოქცეული. წელს, როგორ ეტყობა, მეტი მოაგარაკები ეწვივნენ მცხეთას, ვიდრე შარშან. მცხეთას ძალიან ამხიარულებენ შლიაპოსნების გავლა გამოვლა, მათი ცეკვა-თამაში ამ ჩვენ სვეტი-ცხოვლის გალავნის წინ. შარშახ სცენის მოყვარეებმა რამდენჯერმე გამართეს ქართული წარმოდგენა, წელს-კი ფიქრადაც არავის მოსვლია. წელს აქეთ პურის მოსავალი კვლავინდებურად კარგად აღარ მოგვსვლია, ნაკლები გამოსავალი აქვს ყველაფერს. ამ ზამთარს საქონლის საკვები შემოაკლდათ და ძალიან გაჭირვებაში ჩავარდნენ. ამით შეშინებულმა გლეხებმა ეხლა იმდენი ბალახი გათიბეს და ისეთი თივის ზვინები დასდგეს, რომ მგონია ორ წელიწადსაც ეყოთ. აქაური ფარნის ამნთებლები, ცოტა არ იყოს, მიიყურისძირიებენ ხოლმე, ესე რომ სიპიროა მამასახლისის ხშირ-ხშირი ბრძანება. მიკიტნების ვაჭრობა აქ ძალიან დაეცა, სხედან და შესცქერიან ცარიელა დუქნებს. შიგ რომ შეხვიდეთ, ცარიელა ბოთლების მეტს ვერას დაინახავთ. წინად ყველა საკლავსა ხოცავდა და ცოტა რამ იქიდანა რჩებოდათ, ახლა-ერთი საყასპო დაარსეს და დუშეთის ნიხრითა ჰყიდიან. გირვანქა ცხვრის ხორცი ღირს 13 კაპ. და ძროხისა 12 კაპ. სამკითხველო გვქონდა, რომელიც აქაურს საზოგადოებას დროს ატარებინებდა და ჩვენს საწყალს მცხეთას მარაქაში რევდა, მაგრამ, საუბედუროდ, ამანაც სული განუტევა. რაც ამ ზამთრის შიმშილმა დააკლო, ის ერთმა გაწუწკებულმა მგელმა შეუსრულა: ერთს ღამეს სამ მეკომურს სახლის კარებიდან მოსტაცა ორი თხა და ციკანი და რამდენიმე ბატი. მეორე დღეს, საღამოთი, იქ, სადაც უერთდება სოფლის გზა სამხედრო გზას, ხურუების ქარხნის მახლობლად, ნახეს დაგლეჯილი და ყელ-გამოღადრული ორი ზაქი და ერთიც ორი წლის ბოჩოლა. აქაურმა ვაჟ-ბატონებმა ბევრჯელ უყარაულეს და ვერ გაიგეს, საიდან მოდის მგელი. ერთს ღამეს, სადაც ეს სამი სული საქონელი იმსხვერპლა, იქ უყარაულეს და მგლის მაგივრად ბნელაში მგლის მსგავსი ჭრელი ძაღლი მოჰკლეს. **შესართაველი.**

## ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

### 30 ივლისი

**პეტერბურგი.** გენერალ-ადიუტანტის ალექსეევის დეპეშა, მისს უდიდებულესობას, 29 ივლისს: „პორტ--რტურიდან მიღებულ მოხსენების თანახმად, 28 ივლისს რუსის ესკადრა ზღვაში გავიდა. გემი „მონგოლია“ ესკადრას მიჰყვება. ჰორიზონტზე იყო იაპონელთა 3 კრეისერი პირველ ხარისხისა, 8 პატარა კრეისერი და 17 ნაღმიანი გემი. უკვე მეოთხე დღეა, რაც ნავთსადგურს საალყო ზარბაზნებს უშენენ იაპონელები“. —29 ივლისს შორეულ აღმოსავლეთიდან ოფიციალური ცნობა არ მოსულა

**ჩიფუ.** („რეიტ. სააგ.“). იაპონელთა ორი კონტრ-ნაღმიანი გემი შევიდა ღამე ნავთსადგურში. ამ გემებზე ფარნები არ იყო ანთებული. ისინი რუსების გემ „რეშიტელნი“-ს 400 მეტრის მანძილზე მიუახლოვდნენ და დადგნენ. დილის 4 საათზე იაპონელი მეზღვაურები ავიდნენ „რეშიტელნი“-ზე, რომლიდან იარაღი წაღებული იყო. იაპონელთა ორი კონტრ-ნაღმიანი გემი „რეშიტელნი“-ს სდევდა. იაპონიის კონსული არწმუნება, იაპონელებმა არ იცოდნენ, რომ „რეშიტელნი“-დან იარაღი წაღებული იყოო.

**შანხაი.** („რეიტ. სააგ.“). ნაგასაკიდან მიღებულ დეპეშის თანახმად, რუსეთის სამხედრო გემები კუნძულ კიუ-სიუს დასავლეთ სანაპიროს ახლოს დაუნახავთ.

**ტოკიო.** აქმიღებულ მოხსენებით, პორტ-არტურის რუსის ესკადრის უმეტესმა ნაწილმა წასვლა მოახერხა და აქამდის არ იციან, სად არიან ამ ჟამად ეს გემები, ამიტომ იაპონელთა ყველა სავაჭრო გემებმა დროებით შესწყვიტეს მიმოსვლა.

**ლონდონი.** ვლადივოსტოკის ესკადრა ნავთსადგურიდან გავიდა და სამხრეთისკენ მიდის.

### 29 ივლისი

**ბაქო.** ასტრაბადში მეთოვმა კონსულმა აცნობა ბაქოს გუბერნატორს, ასტრაბადის ახლო-მახლო ადგილებში ხოლერა გაჩნდა და 39 კაცი იმსხვერპლაო. აქ მიღებულ ცნობებით, ხოლერა მეშედში გაჩენილა.

**ლონდონი.** დალაი-ლამამ დასტოვა თავისი ბეჭედი და გაიქცა ლხასიდან. იონგჰესბანდი თავის მხლებლებით შევიდა ლხასში. იმას დიდის ამბით მიეგება ჩინეთის ამბანი. იონგჰესბანდმა სთხოვა ამბანს, იშუამდგომლეთ, რომ ტიბეტის სამი ან ოთხი რწმუნებული დანიშნონ და სთქვა: შესაძლებელია ტიბეტელებმა მოლაპარაკება დააჩქარონ, თუ თქვენ მიაქცევთ იმათ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულებაში შეტანილია აგრეთვე მუხლი ზარალის ზღვევის შესახებ, ამიტომ ინგლისელების დაბრკოლება ყოველ დღე უმატებს ამ საზღვევ ზარალსაო.

**სტამბოლი.** პრიზრენის გუბერნატორი რეშიდ-ფაშა სამსახურიდან გადადგა. რეშიდ-ფაშა უმთავრესმა ინსპექტორმა ხილმი-ფაშამ გამოიწვია პასუხის საგებად. 29 ივლისს ელიან პორტას პასუხს შეერთებულ შტატების მოთხოვნილებაზე. ხმებია, ზოგიერთ მოთხოვნილებას პორტა თანხმდებაო. სრულიად უსაფუძვლოდ მიაჩნიათ საზღვარ-გარედ გავრცელებული ხმები იმ პროექტის გამო, რომელიც შეეხება შესაძლებელ ცვლილებას აღმოსავლეთის კათოლიკეთა მფარველობის საქმეში. პაპი მოწადინებულია დაიცვას არსებული მდგომარეობა (სტატუს-ქუო).

**ბელოსტოკი.** 29 ივლისს დაასრულა თავისი მოღვაწეობა თვალის სამკურნალო რაზმმა, რომელიც დედოფლის მარიამის მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდა და განაგებდა პრივატ დოცენტი ზელენკოვსკი. სულ მიღებული იყო 4,713 ავადმყოფი. გააკეთეს 716 ოპერაცია და 200 კაცს თვალთა ხედვა დაუბრუნეს.

**მარიენბადი.** მოვიდა ინგლისის მეფე. ოფიციალური მიგებება წინადვე იქმნა აკრძალული.

**ბუდაპეშტი.** პალატის სხდომები 27 სექტემბრამდე გადაიდო.

### 30 ივლისი

**ვილჰელმსჰე.** („ვოლფ. სააგ.“). მოვიდა იმპერატორი ვილჰელმი. მიეგებნენ—დედოფალი, ტახტის მემკვიდრე და დანარჩენი შვილები.

**ბელგრადი.** მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტა გვირგვინის კურთხევა 8 სექტემბერს მოახდინოს. სექტემბრის დამდეგს მოიწვევენ სკუპშჩინის საგანგებო კრებას, რათა ყველა დეპუტატებს შეეძლება მიეცეთ გვირგვინის კურთხევას დაესწრნენ. 1 ოქტომბერს გაიხსნება სკუპშჩინას ჩვეულებრივი სესსია.

**რომი.** გაზ. „ტრიბუნა“-ს კორრესპონდენტს პარდოს რუსის მოხელეებმა უბძანეს დატოვებინა ბრძოლის ასპარეზი. მიზეზი—პარდოს მიერ დაწერილი კორრესპონდენციები.

**რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.**

## გამოსადეგი ცნობანი

### პეტერბურგის ბირჟა, 27 ივლისი

| | |
|---|---|
| ლონდონისაზე 10 გირვ. სტ. | 94,00 |
| ბერლინისაზე 100 მარკაში | $45,97^1/_2$ |
| პარიზისაზე 100 ფრანკში. | — |
| ლონდონისაზე ჩეკები | 94,80 |
| ბერლინისაზე „ | 46,30 |
| პარიზისაზე „ | $37,52^1/_2$ |
| ბირჟის დისკონტი | $6-7^1/_2$% |
| 4% სახელმწიფო რენტა | $92^1/_4$ გაყ. |
| 4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. | — |
| $4^1/_2$% შინაგანი სესხი 1903 წ. | — |
| 4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. | $88^7/_8$ მყიდ. |
| 5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ. | $389^1/_2$ გაყ. |
| 5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ. | 299 „ |
| 5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ. | $259^1/_2$ „ |
| 5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ. | — |
| $4^1/_2$% ობლ. იმავე საზოგად. | — |
| 5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. | — |
| 5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ. | — |
| $4^1/_2$% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა. | — |
| 6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |
| ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია. | $183^1/_2$ „ |

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბაქოს:** 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

**ბათუმს:** 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. 24 წ. (2 ს. 22 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

**ერივანსა და ყარსს:** 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

**ბორჯომს:** 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს. 50 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

**ბათუმიდან:** 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

**ერივან-ყარსიდან:** საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45 წ.).

**ბორჯომიდან:** სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს. 9 წ. (10 ს. 7 წ.).

**ბ) ბაქოდან გამოდის:**

**ტფილის-ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 1 ს. 10 წ. 2 ს. 8 წ.).

**გ) ბათუმიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 9 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.

**დ) ქუთაისიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.), 3) დილის 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.).

**ბათუმისაკენ:** 1) ღამის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.(; 2) საღამოს 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.); 3) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

**შორაპნამდე:** № 45/44 ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

### საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში-

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სალი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის, რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:**

**ავლაბრისა.** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა.** ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა' სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის,** უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

## განცხადებანი

### „გუტენბერგი“-ს

**წიგნის მაღაზიაში** ტფილისს, სასახლისა და შტაბის ქუჩებზე, **იყიდება:** „Къ вопросу о Кахетинскихъ винахъ“ (მასალა კახურ ღვინის ტიპის შესამუშავებლად). წიგნს თან დართული აქვს **გეოგრაფიული კარტა კახეთისა.** ფასი 1 მან. 25 კაპ. გაგზავნით 1 მ. 50 კაპ. იქვე იყიდება სასწავლო და სხვა წიგნები. ვინც მრავლად იყიდის, ნაკლებ ფასად დაეთმობა. (2—1)

### ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის ათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ ორმოცი, 40) ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილისათვის). სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

40 ვაკანსიიდან—39 დანიშნულია გარედან მოსიარულეებისათვის და 1 საზოგადოების სრულ ხარჯზე.

საზოგადოების ნახევარ ხარჯზე ჯერ არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და შესაძლებელია სექტემბერში, ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, გაიხსნას.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე—უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი. ვისაც სურს მიღებული იქმნას საზოგადოების სრულ ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, მიღ ბული სინოდალურ კანტორისაგან, ბ) სიღარ ბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინ ძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრისა და ჯანმრთ ლობის მოწმობა.

ვისაც გარედან მოსიარულედ სურს შემოსვლ იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდებ გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკ ნსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგ ლი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონ წილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნ წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანების შეს ფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმ წვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათ დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამ სწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდ ფასსაც.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლების ხელ მეორედ გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდ ნიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნა ხევარ ხარჯზე.

ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონშ იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმან ათი თუმანი შემოსვლისთანავე და ათიც იანვარშ

ვისაც თხოვნა აქვს შემოტანილი პირვე განყოფილებაში ყმაწვილების მიღებისა,—იმა 31 აგვისტოსთვის უთუოდ უნდა მოიყვანო სკოლაში ყმაწვილები ჯანმრთელობის შესამოწმ ბლად და ქართულ ლაპარაკში გამოსაცდელად.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 20-მდი ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამ გზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлис Завѣдывающему Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ.

აგვისტოს 25—31-ში ხელ-მეორე გამოცდ მოხდება ზოგიერთ მოსწავლეებისა. 1-ლ სექ ტემბერს სწავლა დაიწყება. დათხოვნილ იქნებია აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეები, რომელნიც სკოლაში მოსვლისთანავე არ წარმო ადგენენ მომავალ 1904—1905 სამოსწავლ წლის ფულის ნახევარს. ყველა პანსიონერ მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავმდებნი ტფი ლისში მცხოვრებთაგანნი, რომელთანაც სკოლ გამგეობას შეეძლოს მიმართვა როგორც ფულ თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვ სხვა შემთხვევაშიაც. (15—6—10)

СѢДЕЛЬН

СПЕЦІЯЛЬН

Безъ конкуренціи

Продаются всевозможн. сѣ

მიხაილოვის პრ., სახლი ა ვისა, № 92, საზაფხულო ს. ბ ნიის ახლოს. (წ.—176—68)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

### კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

| | მ. | |
|---|---|---|
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი | — | 1 |
| იოსებ დავითაშვილის ლექსები | — | 5 |
| ბნელო მოთხრობა—მელანიასი | — | 2 |
| ალ. ყაზბეგის I, ტომი ღირს | 1 | 5 |
| II და III ტომი თითო | 1 | — |
| ი. ჭავჭავაძის I ტომი | — | 7 |
| იგივე II და III ტომი თითო | — | 6 |
| იგივე IV ტ. ორ წიგნათ | — | 8 |
| სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა. | — | 1 |
| სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა | — | 4 |
| აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო | — | 6 |
| რაფ. ერისთავის I ტომი | — | 6 |
| საქართველოს წარსული დრო—ბოტტოსი | — | 2 |
| აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა | — | 5 |
| სიბრძნე ბალავარისა | — | 3 |

ტფილისში, ელისაბედის ქუჩა № 19,
„ვერსალი“-ს პირდაპირ

### იოსებ მაჭავარიანის

## სახელოსნო

იღებს ყველანაირ შემოკვეთას როგორც სასტოლ როსას, ისე სადურგლოსას, იქვე იყიდება კარგი თ სების ნივთები: სასადილო „ბუფეტები“, სტოლ და წიგნის შკაფები.

**კრიზისის გამოისობით დაკლებულ ფ ხებში.** (10—6.—

Доз. цензурою 30 Іюля 1904 г. ელექტრონის სტამბა წიგნების ბ ქართ. ამხ—ისა. Электропеч. Груз. Изд. То—ва